

შპს რუსაგრო ლლს (ს/კ:417891687)

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქ. გორი
2020 წ.

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის.....	4
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....	6
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7
ზოგადი ინფორმაცია.....	8
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფურველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	8
შემოსავლის აღიარება.....	8
ხარჯების აღიარება.....	9
სხვა ხარჯები.....	9
უცხოური ვალუტის კონვერტაცია.....	9
სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	10
მოგების გადასახადი.....	10
ძირითადი საშუალებები.....	10
აქტივების გაუფასურება	11
იჯარა	12
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	12
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
სავაჭრო ვალდებულებები	13
დაქირავებულ მომუშავეთა გასამჯელოები.....	13
1. დივიდენდები	13
2. ამონაგები.....	13
3. ფინანსური დანახარჯები.....	14
4. სხვა ხარჯები	14
5. მოგების გადასახადის ხარჯი.....	15
6. წინასწარ გადახდილი თანხები	15
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	16
9. ძირითადი საშუალებები.....	16
10. არამატერიალური აქტივები	17
11. სავაჭრო და მიმდინარე ვალდებულებები.....	17

12.	საგადასახადო ვალდებულება	17
13.	საწესდებო კაპიტალი.....	18
14.	ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	18
15.	თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამჯელოები.....	18
16.	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	19
17.	დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	19
18.	ფუნქციონირებადი საწარმო	19
19.	ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	19
20.	ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში.....	21
21.	ბანკის სესხი. მოკლევადიანი.....	22
22.	ბანკის სესხი , გრძელვადიანი.....	23

შპს რუსაგრო ლლს
(ს/კ 417891687)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	შენიშვნა ო	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
		ლარი	ლარი	ლარი
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადისახსრები	14	29470	15568	15408
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	6796	130446	0
წინასწარ გადახდილი თანხები	6	901546	858540	434806
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	430430	168690	56472
სულ მიმდინარე აქტივები		1368242	1173244	506686
გრძელვადიანი აქტივები				
ინვესტიციები მუშაობის დაწყების შემთხვევაში				
ძირითადი საშუალებები	9	24662	24590	661
არამატერიალური აქტივები				
გადავადებული საგადასახადო აქტივი				
		24662	24590	661
სულ აქტივები		1392904	1197834	507347
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი				
სავაჭრო ვალდებულებები	11	894293	750030	502516
გადასახდელი პროცენტი				
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება				
ანარიცხებისაგარანტიო ვალდებულებებისთვის				
დებიტორული დავალიანების ანარიცხი				
დაქირავებული მომუშავეთა გასამრჯელოები				
სმიმდინარე ნაწილი (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)				
ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე				

ნარეწილი				
		894293	750030	502516
გრძელვადიანი ვალდებულებები	22			
ბანკის სესხი		0	0	0
სხვასესხები			198238	
გადასახდელი პროცენტი				
ფინანსური იჯარის ვალდებულებები				
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			198238	0
	შენიშვნები	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
		ლარი	ლარი	ლარი
სულ ვალდებულებები		894293	948268	502516
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	13	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება		498611	249566	4831
სულ საკუთარი კაპიტალი		498611	249566	4831
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1392904	1197834	507347

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა
2020 წლის 30 ივნისს

დირექტორი: _____

ნანა მთიულიშვილი
(პ/ნ 59001001780)

**შპს რუსაგრო ლოს 417891687
(ს/კ 417891687)**

**2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლისა და გაუნაწილებელი
მოგების ანგარიშგება**

	შენიშვნები	2019	2018
		ლარი	ლარი
ამონაგები	2	9304634	5355762
სხვაშემოსავალი		43072	6912
ცვლილებებისასაქონლო- მატერიალურფასეულობებში: მზაპროდუქციადადამთავრებელიწარმოება			
გამოყენებულინედლეულიდამასალები	8	-8362496	-4765460
თანამშრომელთახელფასებიდასხვაგასამჯელოები	15	-352066	-236805
ცვეთისადაამორტიზაციისხარჯი	9	-4844	-3117
ძირითადისაშუალეობებისგაუფასურება			
სხვასაოპერაციოხარჯები	4	-159427	-80932
დებიტორულიდავალიანებისგაუფასურებისანარიცხი			
ფინანსურიდანახარჯები	3	-45992	-27025
წლისმოგება/ზარალი(დაბეგვრამდე)		422881	249335
მოგებისგადასახადისხარჯი			
წმინდამოგება/ზარალი (მიმდინარეწლისმოგება)		422881	249335
წმინდამოგება/ზარალიწლისდასაწყისში		211440	0
დივიდენდები	1	-112632	-37895
წმინდა მოგებაწლისბოლოს		521689	211440

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა
2020 წლის 30 ივნისს

დირექტორი: _____

ნანა მთიულიშვილი
(პ/ნ 59001001780)

შპს რუსაგრო ლლს
(ს/კ 417891687)

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
ფულადინაკადებისაოპერაციოსაქმიანობიდან			
კლიენტებისაგანმიღებულიფულადისახსრები		10008546	5878008
მომწოდებლებსადათანამშრომლებზეგაცემულიფულადისახსრები		-8981753	-5534702
დამფუძნებლის შემინატანები		2237	866
საოპერაციოსაქმიანობიდანშემოსულითანხები		1029030	344172
გადახდილიპროცენტები		-18532	-8219
გადახდილიმოგებისგადასახადი		-18882	-6353
გადახდილისხვაგადასახადები		-665190	-459838
წმინდაფულადისახსრებისაოპერაციოსაქმიანობიდან		326426	-130238
ფულადინაკადებისაინვესტიციოსაქმიანობიდან			
შვილობილისაწარმოსშემენამისიფულადისახსრებისგამოკლებით			
ძირითადისაშუალებისშემენა		-5800	-28305
ძირითადისაშუალებისმშენებლობა/რემონტი			
მანქანადანადგარებისგაყიდვიდანმიღებულითანხები		0	0
მიღებულიპროცენტები		0	0
მიღებული დივიდენდები			
წმინდაფულადისახსრებისაინვესტიციოსაქმიანობიდან		-5800	-28305
ფულადინაკადებისაფინანსოსაქმიანობიდან			
შემოსულობანიაქციათაემისიისშედეგად			
შემოსულობანიგრძელვადიანისესხებიდან		465405	915217
შემოსულობანიმოკლევადიანისესხებიდან			
ნასესხებისახსრებისგადახდა (სესხისძირითადითანხა)		-665880	-718110
გადახდილიდივიდენდები		-107000	-36000
გაცემული სესხი(გასესხებული თანხა)			
წმინდაფულადისახსრებისაფინანსოსაქმიანობიდან		-307475	161107

სავალუტოკურსისეფექტი		751	-2404
ფულადისახსრებისადამათიეკვივალენტებისწმინდაზრდა		13902	160
ფულადისახსრებიდამათიეკვივალენტებისაანგარიშგებოპერიოდისდასაწყისისათვის		15568	15408
ფულადისახსრებიდამათიეკვივალენტებისაანგარიშგებოპერიოდისბოლოსათვის		29470	15568

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა
2020 წლის 30 ივნისს

დირექტორი: _____

ნანა მთიულიშვილი
(3/5 59001001780)

ზოგადი ინფორმაცია

რუსაგრო ლლს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2017 წლის 15 აგვისტო . კომპანიის იურიდიული მისამართია გორის რაიონი სოფ.შინდისი , ხოლო ფაქტიური ქ.თბილისი,ისანი სამგორის რაიონი კახეთის გზატკეცილი #51 მიმდ.ნაკვ.05/027 ,კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა მცენარეთა დაცვის საშუალებებით ვაჭრობა .

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისშესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდილების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

სხვა ხარჯები

კომპანია აღიარებს მოთხოვნებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა / (ზარალი). არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი

ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯს და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა დამიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-15 შენიშვნა). მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები საქართველოში წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება იმ პერიოდის ვალდებულებებსა და ხარჯებში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თურა თარიღში ან რომელი პერიოდისთვის ხდება დივიდენდების გადახდა. კონკრეტულ გარემოებებში შესაძლებელია გადასახდელი მოგების გადასახადში გამოქვითვების განხორციელება, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებით მოგების გადასახადის ხარჯის შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება. კომპანიის პარტნიორებისთვის გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება ხდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მათი აღიარება ხდება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა:

20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთისნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის არდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივის ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური

ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულებისტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაითვლება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნის შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავამდყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვა) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

1. დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, რომელშიც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება.

2. ამონაგები

ამონაგები:	2019 ლარი	2018 ლარი
მც.დაცვის საშუალებებიდან	9 304 634	5 355 762
სხვა შემოსავალი	43 072	6 912
სულ ამონაგები	9 347 706	5 362 674

2018 წელს სხვა შემოსავალი მოიცავს:

- ✓ მიღებულშემოსავალს სავალუტო ნაშთების გადაფასებიდან 6 912 ლარს;

2019 წელს სხვა შემოსავალი მოიცავს:

- ✓ მიღებულშემოსავალს სავალუტო ნაშთების გადაფასებიდან 43 072 ლარს;

3. ფინანსური დანახარჯები

	2019 ლარი	2018 ლარი
სესხის პროცენტი	(18 532)	(8 220)
სხვა საბანკო ხარჯები	(27 460)	(18 805)
სულ	(45 992)	(27 025)

4. სხვა ხარჯები

	2019 ლარი	2018 ლარი
ქონების გადასახადი (ჩართულია სხვა- ხარჯებში)	123	123

ხელფასები	352 066	236 805
კომუნალური ხარჯები	362	161
სხვა საოპერაციო ხარჯი (ჩართულია სხვა- ხარჯებში)	209 777	83 765
სულ	562 328	320 854

5. მოგების გადასახადის ხარჯი

კომპანიის 2018 და 2019 წლებში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად მოგების გადასახადმა შეადგინა:

- ✓ 2018 წელს 6 353 ლარი;
- ✓ 2019 წელს 18 882 ლარი.

6. წინასწარ გადახდილი თანხები

	2019 ლარი	2018 ლარი
წინასწარ გადახდილი თანხები ხელშეკრულების თანახმად	901 546	858 540
სულ	901 546	858 540

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019 ლარი	2018 ლარი
დებიტორული დავალიანება მომსახურეობის მიწოდებიდან	6 796	130 446
სულ	3 796	130 446

დებიტორული დავალიანება წარმოშობილია რეალიზებული საქონლის და მომსახურების მიწოდებიდან, გადახდის ვადები არ აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს. წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები უახლოვდებათ სამართლიან ღირებულებებს.

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2019 ლარი	2018 ლარი
ნედლეული და მასალები წლის დასაწყისში	168 690	56 472
ნედლეული და მასალების შეძენა	8 629 227	4 880 776
გახარჯული ნედლეული და მასალები	8 367 488	4 768 558
ნედლეული და მასალების ნაშთი წლის ბოლოს	430 430	168 690

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა, შენობა- ნაგებობა ლარი	ავტო მანქანები ლარი	მრავალწლიანი ნარგავები, მილსადენები ლარი	ინვენტარი და სხვა ლარი	სულ ლარი
თვითღირებულება					
1 იანვარი, 2018 წ. ნარჩენი	0	0	0	661	661
შემოსვლა	0	20516	0	6530	27046
გასვლა	(0)	(0)	(0)	(0)	(0)
31 დეკემბერი, 2017 წ.	0	20516	0	7191	27707
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
1 იანვარი, 2018 წ.	0	0	0	0	0
წლიური ცვეთა 2018 წ.	0	2735	0	381	3116
გაუფასურება	(0)	(0)	(0)	(0)	(0)
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი, 2018 წელი ცვეთა	0	2735	0	381	3116
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი, 2018 წ.					
1 იანვარი, 2019 წ. ნარჩენი	0	17781	0	6810	24591

შემოსვლა	0	0	0	4915	4915
გასვლა	(0)	(0)	(0)	(0)	(0)
31 დეკემბერი, 2019 წ.	0	17781	0	11725	29506

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება 1 იანვარი, 2018 წ.	0	0	0	0	0
წლიური ცვეთა 2019 წ.	0	3556	0	1288	4844
გაუფასურება	(0)	(0)	(0)	(0)	(0)
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი, 2019 წელი ცვეთა	0	3556	0	1288	4844

საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი, 2019 წ. ნარჩენი	0	14225	0	10437	24662

10. არამატერიალური აქტივები

კომპანია არ ფლობს არამატერიალურ აქტივებს

11. სავაჭრო დამიდინარე ვალდებულებები

	2019 ლარი	2018 ლარი
მიმდინარე ვალდებულებები	894 293	750 030

ვალდებულებების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს მოწოდებული ნედლეულის და მასალების ღირებულებას და წარმოადგენს მიმდინარე დავალიანებას. ვალდებულებების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მნიშვნელოვნად მათი საბალანსო ღირებულებებისგან.

12. საგადასახადო ვალდებულება

დღგ წარმოადგენს მიმდინარე დავალიანებას და მისი გადახდის ვალდებულება დგება მომდევნო საანგარიშო პერიოდში.

13. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის წესდების მიხედვით კაპიტალის მესაკუთრეები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დივიდენდი, ამასთან მათ ხმის უფლება აქვთ კომპანიის პარტნიორთა კრებაზე მათ საკუთრებაში არსებული კომპანიის წილის შესაბამისად. კომპანიის განაწილებადი რეზერვი შეზრუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთის ოდენობით, რომელიც ასახულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

2019 წელს დამფუძნებლების მიერ საწესდებო კაპიტალის გაზრდა არ მომხდარა.

14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2019 ლარი	2018 ლარი
ფულადი სახსრები სალაროში	11 300	6 097
ფული საბანკო ანგარიშებზე	18 170	9 471
სულ	29 470	15 568

კომპანიის ფულადი სახსრების დამათი ეკვივალენტების ძირითადი ნაშთები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში.

15. თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამჯელოები

	2019 ლარი	2018 ლარი
დარიცხული ხელფასები	352 066	236 805
გაცემული ხელფასები	352 066	236 805
გასაცემი ხელფასები		

კომპანიის სახელფასო დანახარჯებს წარმოადგენს ხელმძღვანელობაზე, ადმინისტრაციაზე და მუშა პერსონალზე გაცემულ ანაზღაურებას.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე.

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

საანგარიშგებო პერიოდში დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები არ განხორციელებულა.

18. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმი სგათვალისწინებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი, რაც იმას გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 30 ივნისს.

დირექტორი: _____

ნანა მთიულიშვილი
(3/5 59001001780)

